PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯი „მერმისი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: ნინო ბალანჩივაძე პროფესიული საგანმანათლებო დაწესებულების ექსპერტი წევრები: სოფო მელიქიშვილი, პროფესიული საგანმანათლებო დაწესებულების ექსპერტი

(ქალაქი, წელი) თბილისი 2020 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი „მერმისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

☐ **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**

☐ **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება**

■ **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 ივნისის N 518598 ბრძანების საფუძველზე (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - კოლეჯ "მერმისში" ვიზიტის შესახებ) შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი (ნინო ბალანჩივაძე-ჯგუფის თავმჯდომარე, სოფიო მელიქიშვილი-ჯგუფის წევრი) გაეცნო სსიპ - კოლეჯის"მერმისის“ (შემდგომში „კოლეჯი/დაწესებულება“) მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სასტუმრო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა მუშაობის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმრო მომსახურება“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის სრულყოფილად შეფასების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან შეხვედრამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი (დანართი №1).

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად, კერძოდ, განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლებთან. ამასთანავე, დავათვალიერეთ კოლეჯის სასწავლო ბაზა. ასევე, შევისწავლეთ ადგილზე არსებული დოკუმენტაცია (თანამშრომლებისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები, სხვადასხვა სამართლებლივი დოკუმენტი და ა.შ.). უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციამ, პროგრამის ხელმძღვანელმა და დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურმა ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე დაახვედრა სტანდარტების გათვალისწინებით ყველა არსებული დოკუმენტი.

PDF Eraser Free

ვიზიტის დასრულებისას კი, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამების შემდეგ დაწესებულების ადმინისტრაციას მიეწოდა ინფორმაცია შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების შესახებ.

ინტერვიურებისას ექსპერტთა ჯგუფმა და კოლეჯის „მერმისი“ ადმინისტრაციამ ისაუბრა პოსტ-პანდემიურ პერიოდში საქართველოს ტურისტულ პოტენციალსა და „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიის აქტუალობის შესახებ, შესაბამისად სასწავლო პროგრამის ავთენტურობასა და მოთხოვნადობაზე.

IV. **საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:**

V. **წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წინა ვიზიტის ფარგლებში, კოლეჯის „მერმისი“ 2019 წლის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დასკვნაში აისახა ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროფესიული სტუდენტის მიერ განმეორებითი შეფასების შესაძლებლობას იმ მოდულებისათვის, რომლებიც სხვა მოდულებზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენდა ისე, რომ არც სტუდენტის და არც მასწავლებლის უფლებები დარღვეული არ ყოფილიყო.

კოლეჯმა გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტების რეკომენდაცია და "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მუხლი 10-ის, პუნქტი 8 შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისათვის განმეორებითი შეფასების შესაძლებლობისათვის დროის შუალედის გამოყოფის მიზნით, იმ მოდულებისათვის, რომლებიც სხვა მოდულებზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენდა, შეიტანა ცვლილებები შემდეგი პროგრამების სასწავლო გეგმებში:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სამკერვალო წარმოება
PDF Eraser Free
2. ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის წარმოება
3. ხის მხატვრული დამუშავება
4. თექის დამზადება
5. მხატვრული ქსოვა
6. მომინანქრება
7. ბუღალტრული აღრიცხვა
8. საოფისე საქმე
9. იატაკისა და ფილის სამუშაოები
10. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი ყოველივე ეს მტკიცდება სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის № 0413702.07.2020წლის ბრძანებით.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლინდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერდა და განსაზღვრა კოლეჯის განვითარების უზრუნველყოფისათვის შემდეგი რეკომენდაცია:

- სასურველია „სასტუმრო მომსახურების“ ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული ინტეგრირებული მოდულების ყველა მასწავლებელი ზედმიწევნით გაეცნოს სასტუმროს მუშაობის შიდა სამზრეულოს, რომ ინტეგრირებული მოდულების სწავლება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	,,სასტუმრო მომსახურება‘‘
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე

ტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის № 04-118 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40, ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა, მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	176
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას**

კოლეჯის გადაწყვეტილება „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმას, სამოქმედო გეგმას და შესაბამის დასაბუთებას. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას კოლეჯმა გაითვალისწინა როგორც ტურიზმის მიმართულების პროგრამების რაოდენობის ზრდა (პროგრამა ეფუძნება ჩარჩო დოკუმენტს „სასტუმრო, რესტორანი და კვება“, რომლის საფუძველზე შექმნილ ორ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას: „კულინარიის ხელოვნებას“ და „კონდიტერიას“ კოლეჯი უკვე ახორციელებს), ისე სასტუმრო მომსახურების კვალიფიციურ სპეციალისტებზე მზარდ მოთხოვნასა და საბაზო განათლების მქონე პირთა სწავლის გაგრძელებისა და შემდგომი დასაქმების შესაძლებლობა. ამასთანავე, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეჯმა გაითვალისწინა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მომსახურების სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგები და დასაქმების სააგენტოების მონაცემები სასტუმრო მომსახურების სფეროში არსებული ვაკანსიების მიხედვით.

კოლეჯი „მერმისი“ ჩართულია გერმანიის თანამშრობლობის ორგანიზაციის (giz) მხარდაჭერით შექმნილ თბილისის სტუმართმოყვარეობის სამუშაო ჯგუფში, რომლის ფარგლებშიც კოლეჯი აქტიურად მონაწილეობს ბაზარზე არსებულ წამყვან სასტუმროებთან შეხვედრებსა და მათთან სამომავლო თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკებებში. ამ ჯგუფის წევრები არიან ისეთი სასტუმროები, როგორებიცაა: Adjara Group, Best Western, Biltmore, Courtyard Marriott, Cron Palace, Ibis, King Gorgasali, Marriott, Mercure, Moxy, Museum, Radisson, Sheraton, Wyndham Grand Tbilisi) „Gron Palace“, Best Western“, “მუზეუმი” და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ჯგუფის მიზანია ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველყოფა, დამსაქმებელთა მოთხოვნების დეტალურად გაცნობა და კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა. აღნიშნული ჯგუფის რეგულარული შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა პროფესიონალურ კადრებზე დიდი მოთხოვნა, რასაც ადასტურებს „ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევები“,დასაქმების ვებგვერდებზე -www.ibusiness.ge, www.hr.gov.ge; www.jobs.ge; www.aris.ge- განთავსებული ვაკანსიები, კომპანიებიდან კოლეჯში შემოსული წერილობითი მოთხოვნები.

კოლეჯი ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სასტუმრო, რესტორანი და კვება“, „კულინარიის ხელოვნება“ და „კონდიტერია“ პროგრამებს, ამასთანავე გეგმავს ამ მიმართულებით სპეციალისტების მომზადების არეალის გაფართოებას და განვითარებას, რაც დაფიქსირებულია კოლეჯის სტრატეგიული განვითარების 2020-2026 წლებისა და ტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 2020 წლის სამოქმედო გეგმებშიც, კოლეჯი თვლის, რომ მიზანშეწონილია დაიმატოს „სასტუმროს მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია სასტუმრო ბიზნესისათვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასტუმრო მომსახურების პროგრამა მეოთხე დონისაა, და რომ პროგრამაში ზოგადი განათლების მოდულების ინტეგრირებით საბაზო განათლების მქონე ახალგაზრდებისათვისაც საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის დაუფლების, დასაქმებისა და შემდგომ უმაღლესი განათლების მიღების საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა.

ინტერვიურებით კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მართალია გლობალური პანდემიის ფონზე მსოფლიოში ტურიზმის რიცხვი იკლებს, მაგრამ საქართველო პანდემიასთან ბრძოლის გზაზე მოწინავე აღმოჩნდა, იგი უკვე რამდენიმე ქვეყანამ აღიარა მოგზაურთათვის უსაფრთხო ზონად და დაანონსდა, რომ საქართველო ივლისიდან განაახლებს ტურისტების მიღებას, შესაბამისად, მოთხოვნა ტურისტულ სფეროში მომუშავე დაწესებულებებსა და პერსონალზე კვლავაც მზარდი იქნება. აქედან გამომდინარე, კოლეჯის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას**

სასტუმრო მომსახურების არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებისას პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები, ხოლო ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლების შემთხვევაში პროგრამაზე დაიშვებიან საბაზო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განათლების მქონე პირები, რომელთა წინარე ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით**

„პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის“ საფუძველზე კოლეჯში შემუშავდა „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამისათვის ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება მოდულური და ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შემთხვევაში. სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იყო შემდეგი ფაქტორები: A, B და C გარემოში სამუშაო ადგილების რაოდენობა, ასევე ადამიანური რესურსი.

„სასტუმრო მომსახურების“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: კოლეჯში არსებული რესურსი - AB, C და B სასწავლო გარემოში სამუშაო ადგილების რაოდენობა, კერძოდ:

- სასტუმრო მომსახურების AB ინტეგრირებულ თეორიულ გარემოში სამუშაო ადგილების რაოდენობა (მედდის კაბინეტი - C გარემო);
- კომპიუტერულ კლას-კაბინეტში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა (B გარემო);
- სასტუმროს ოთახის სახელოსნო (C გარემო) და ე.წ. რეცეფშენი;
- სასწავლო სამზარეულოში სამუშაო ადგილების რაოდენობა (C გარემო);
- სასადილო/საპრეზენტაციო ოთახში სამუშაო ადგილების რაოდენობა (C გარემო);
- ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისათვის განკუთვნილი სივრცეები:
  - ა) ქიმიის ლაბორატორია (AC გარემო)
  - ბ) ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორია (AC გარემო)
- არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი და პროფესიული მოდულების კვირეული დატვირთვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF EraserFree

- ინტეგრირებული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი, ინტეგრირებული და პროფესიული მოდულების ვალიდაცია დატვირთვა'
- მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლების რაოდენობა;
- კოლეჯის პარტნიორ კომპანიების მფლობელობაში არსებული რესურსით პროგრამის მოდულებისათვის: სასტუმროს, რესტორნის, სამზარეულოს დასუფთავების უზრუნველყოფა (ს.შ.2, ს.შ.3, ს.შ. 5), სასტუმროს დასუფთავების უზრუნველყოფა (ს.შ.2, ს.შ.4, ს.შ. 5), სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა (ს.შ.6), საწარმოო პრაქტიკა

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსებთან. ასევე, საგანმანათლებლო რესურსი შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან**

პროგრამაში არის ერთი არჩევითი მოდული „საწარმოო პრაქტიკა“, რომელიც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული უნარ- ჩვევების განმტკიცებას. კერძოდ, ოპტიმალური შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, სამუშაო გარემოს ორგანიზებას, მიღწეული სწავლის შედეგების გამოყენებით პროფესიული ამოცანების შესრულებასა და შესრულებული სამუშაოს ჩაბარებას. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტის ადაპტაციას რეალურ სამუშაო გარემოსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ**

სსიპ კოლეჯის „მერმისი დირექტორის № 04-118 12.06.2020 ბრძანებით დამტკიცებული „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის ძირითადი დოკუმენტი.აღნიშნული უფებამოსილება კოლეჯის დირეტორს მინიჭებული აქვს კოლეჯის წესდებით

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

პროგრამის სახელწოდება „სასტუმრო მომსახურება“ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „სასტუმრო, რესტორანი და კვება“ შესაბამისად. ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მისაღწევად არაინტეგრირებული სწავლების შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 65 კვირით განისაზღვრება, რაც გულისხმობს 86 კრედიტის გავლას. ინტეგრირებული სასწავლო პროგრამის შემთხვევაში კი ქართულენოვანი სტუდენტებისათვის სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრა 113 კვირით, რაც გულისხმობს ჯამში 146 კრედიტის დაფარვას. ორივე შემთხვევაში არაქართულენოვან სტუდენტებს უწევთ დამატებით 30 კრედიტის დაფარვა, რაც ნაწილდება კიდევ დამატებით 20 კვირაზე.

პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი ითვალისწინებს სასტუმროს მომსახურების სერვისს... პრობლემური სიტუაციების მართვას სასტუმროში, სასტუმროს ადმინისტრაციული პროცესების, სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების, სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფას, უსაფრთხოების, მარტივი მარკეტინგულ საქმიანობას სასტუმროში და ა.შ.

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია „სასტუმროს მომსახურება“ განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს სასტუმტრო, რესტორანი და კვება - კოდი 1013, აღმწერი შეისწავლის „საკვების, სასმელის, დაბინავების და სხვა დაკავშირებულ მომსახურებებს სასტუმროსა და რესტორანში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროგრამა სასტუმროს მომსახურება“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე მასი მოთხოვნების სრული დაცვით და ასევე 170/ნ მინისტრის ბრძანების მოთხოვნების სრული დაცვით (გიგზავნით ამ ბრძანებასაც).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია.
- სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი (2020 – 2026წწ.) გეგმა.
- 2020 წლის სამოქმედო გეგმა.
- განაცხადის დანართი №7 - პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება.
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიების, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მომსახურების სამინისტროს
  მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა;
- კოლეჯის დირექტორის №04-357, 20.07.2018წ. (ბრძ. ცვ. №04-142, 11.11.2019წ.) „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“
- განაცხადის დანართი №14- პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება არაინტეგრირებული და ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შემთხვევაში;
- კოლეჯისდირექტორის № 04-118 12.06.2020 ბრძანებით დამტკიცებული „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის ძირითადი დოკუმენტი;
- „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის მოდულები, პროგრამის დანართები №№4-26, №№28-32;
- კოლეჯის დირექტორის №04-44, 10.02.2020წ. ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი“.;
- ინტერვიურება;
- ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

„სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია 40 სტუდენტზე (ორ ცვლაში) გათვალისწინებული კოლეჯის „მერმისი“ მატერიალური რესურსით: ტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1.თეორიული აუდიტორია - AB გარემო

2.სასტუმრო ოთახის სახელოსნო - C გარემო

3.კომპიუტერული კლას-კაბინეტი - B გარემო

4.სასწავლო სამზარეულო და სასადილო/საპრეზენტაციო ოთახი შესაბამისი ინვენტარით და აღჭურვილობით - C გარემო

5.ქიმიის კაბინეტი შესაბამისი ინვენტარით და აღჭურვილობით - AC გარემო

6. ფიზიკის და ბიოლოგიის ლაბორატორია შესაბამისი ინვენტარით და აღჭურვილობით - AC გარემო მედდის კაბინეტი - C გარემო

ამასთანავე, კოლეჯის პარტნიორი კომპანიების მფლობელობაში არსებული რესურსით პროგრამის მოდულებისათვის: სასტუმროს, რესტორნის, სამზარეულოს დასუფთავების უზრუნველყოფა (ს.შ.2, ს.შ.3, ს.შ. 5), სასტუმროს დასუფთავების უზრუნველყოფა (ს.შ.2, ს.შ.4, ს.შ. 5), სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა (ს.შ.6), საწარმოო პრაქტიკა

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინტერვიუებით, სასწავლო გეგმისა და მასწავლებელთა კვირეული დატვირთვის გაცნობით დადგინდა, რომ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია**

პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვლიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. პროგრამაში ჩართულ თითოეულ მასწავლებელს აქვს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ კოლეჯში წარდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. პირადი საქმეების დათვალიერებითა და გასაუბრებით გაირკვა, რომ პრაქტიკის ობიექტებზე სწავლებას უძღვებიან პროფესიისათვის განსაზღვრული გამოცდილი პირები.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 31 საგნით წარმოდგენილი „სასტუმრო მომსახურების“ ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული 34 პირთაგან უმეტესობას არა აქვს პროფესიულ სტუდენტებთან მუშაობის გამოდილება, თუმცა ამა წლის თებერვალში (პაანდემიის გამოცხადებამდე) გაეროს საგრანტო პროექტის ფარგლებში თითოეულმა მათგანი ჩაერთო ტრენინგების ციკლში, აპრილსა და მაისში, გაანალიზდა ტრენინგის შედეგები და მომზადდა შემაჯამებელი დოკუმენტაცია, რომელშიც ასახულია თითოეული მონაწილის (8 საგნობრივი მიმართულებით) შემაჯამებელი შეფასება - შერჩევის შედეგების, ტრენინგზე დასწრების, ტრენინგზე აქტიურობისა და ტრენინგის ფარგლებში მიღებული დავალებების შესრულების კომპონენტების გათვალისწინებით.

პროექტის მხარდაჭერით, ინდივიდუალური შეხვედრები გაიმართა ესგ- ს ექსპერტებთან და კოლეჯებმა მიიღეს დეტალური უკუკავშირი თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით. ამდენად, მასწავლებელებმა გაიარეს ყველა ის პირველადი ღონისძიება და ეტაპები, რომელთა გავლაც აუცილებელი იყო სასწავლო პროცესის დაწყებამდე. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოკვეთა, რომ მასწავლებლების მხარდაჭერა და ქოუჩინგი გაგრძელდება მათი კომპეტენციის გასავითარებლად, არა მხოლოდ ინტეგრირებული მოდულების სწავლება შეფასებისა, არამედ ზოგადად, პროფესიულ განათლებაში დანერგილი სწავლების მიდგომების შესახებაც. ***აქედან გამომდინარე, სასურველია „სასტუმრო მომსახურების“ ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული ინტეგრირებული მოდულების ყველა მასწავლებელი ზედმიწევნით გაეცნოს სასტუმროს***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუშაობის შიდა სამზრეულოს, რომ ინტეგრირებული მოდულების სწავლება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

PDF Eraser Free

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი**

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება პროგრამის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. .

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში**

პროფესიულ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის როგორც ელექტრონული , ისე მატერიალური სახით. შექმნილია ფომულარები და ანბანური კატალოგი. ყველა რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთკეო წესით.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად**

კოლეჯს გააჩნია ყველასთვის ხელმისაწვდომი უნივერსალური დიზაინის პრინციპით მოწყობილი გარემო. იგი სრულად არის ადაპტირებული სსსმ და შშმ პირებისათვის. კოლეჯს სსსმ და შშმ სტუდენტების მხარდასაჭერად ჰყავს ინკლუზიური განათლების გუნდი. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი ახორციელებს სსსმ პირებისათვის დამატებითი მომსახურების (ტრანსპორტით გადაადგილება, ჟესტური ენის თარჯიმანი, სივრცეში მობილობის და ორიენტაციის სპეციალისტი და სხვ.) უზრუნველყოფას. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა**

დაწესებულების შემოსავლებისა და ხარჯების შეფარდებით დადგენილია(ვაუჩერული და პროგრამული), რომ პროგრამის განხორციელება მიზანშეწონილია, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განაცხადის დანართი №4;
- პროგრამის დანართი №2;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- განაცხადის დანართი №3; □ პროგრამის დანართი №3;
- ხელშეკრეულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №76, 10.06.2020წ. და №79, 11.06.2020წ.სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის N04-119 12.06.2020 წ. ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა; □ მასწავლებლების პირადი საქმეები;
- სერტიფიკატები;
- ბიბლიოთაკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესისი შესაბამისად.
- ბიბლიოთეკის ფონდით და სამკითხველო დარბაზით სარგებლობის წესი.
- ბიბლიოთეკის დებულება;
- სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის ბრძანებები ინკლუზიური განათლების კოორდინატორის, სპეციალისტის, ასისტენტის ჟესტური ენის თარჯიმნების დანიშვნის, სსსმ პირების ტრანსპორტით მომსახურების შესახებ; □ ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

ინტერვიურებით დადგინდა, რომ კოლეჯი ცდილობს პროგრამების განხორციელებისათვის შექმნას საჭირო სასწავლო და სამუშაო გარემო, ცდილობს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებასა და სახელმწიფო სტანდარტებთან// შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათ დაახლოებას. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, კოლეჯში განსაზღვრულია პოგრამის შემუშავებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გადახედვის წესები. სხვადასხვა გამოკითხვის შედეგებით კი კოლეჯი ცდილობს სასწავლო/სამუშაო გარემოს გაუმჯობესებასა და საჭიროების შემთხვევაში კი- პროგრამების გადახედვა-მოდიფიცირებას.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

კოლეჯში შემუშავებულია კითხვარები როგორც კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის, ისე კურსების შეფასების კითხვარი სტუდენტებისა და მასწავლებელთათვის, ასევე, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის დასწრებისა და დამსაქმებელთა კითხვარები.

უნდა აღიშნოს, რომ კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი.შექმნილია შიდა მხარდაჭერისა და ვერიფიკციის ჯგუფები.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განისაზღვრა ვერიფიკაციის სამი მიმართულება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და შექმნილი მტკიცებულებების ტორიზაციის ექსპერტთა ვერიფიკაცია. ასევე, შერჩევითი ვერიფიკაცია, რისკ ფაქტორები და ვერიფიკაციის ჩატარების რიგითობა რისკ ფაქტორების გათვალისწინებით.

შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა კოლეჯის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის კოორდინაციაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი.

სასწავლო პროცესის მარეგულერელი წესის ვერიფიკაციის ნაწილს დაემატა პროფესიული სტუდენტის ინფორმირებულობის მექანიზმი და ვერიფიკაციის პროცესის მეორე ეტაპი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის №04-70, 02.03.2020წ. ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“.
- სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის № 04-169, 02.12.2019წ. ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „მერმისი“ კოლეჯის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“.
- იტერვიურება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**

სასტუმრო მომსახურების პროგრამის განხორციელება იგეგმება სასწავლო გეგმების (მოდულური, ინტეგრირებული) შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. სასწავლო პროცესი რეგულირდება კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით''. სასწავლო გეგმა უზრუნველყოს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის.

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 146 (113კვირა) კრედიტია საჭირო, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 176 (133 კვირა) კრედიტი. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

უნდა აღინიშნოს, რომ „სასწავლო პროცესის მარეგილუებელი წესი“ სტუდენტთა ინტერესებს ითვალისწინებს. ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი ცხრილით. სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილი დგება პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით და ყოველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Erasor Free

სასწავლო კვირის დასაწყისში განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილას. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან პროფესიულ პროგრამაზე მობილობით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტისტის ინდივიდუალური გეგმის შესადგენად იდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ინიცირებას ახდენს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ და რაოდენობრივ ცვლილებას) ან/და აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომაში ცვლილების მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს . შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის საჭირო დამატებით საგანამანთლებლო მომსახურებას. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ითანხმებს ხარისხის მართვის მენეჯერი

ინტერვიურებით დადგინდა, რომ კოლეჯის ადმინისტრაცია არ გამორიცხავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების არსებობას ან საჭიროების შემთხვევაში დროებით გაზრდილი დატვირთის ფარგლებში დამატებითი მეცადინეობებისა/ კონსულტაციების ჩატარებას ფორს-მაჟორულ პირობებში.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას**

პროგრამით განსაზღვრული თითოეული მოდული ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, როგორიცაა: ღია ან/და დახურული ტესტი, კაზუსის ან/და

ტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ამოხსნილი ამოცანის შეფასება; ზეპირი გამოკითხვა, დისკუსიაში/დებატებში მონაწილეობის, სიტუაციური ანალიზის, სტუდენტის მიერ მომზადებული პრეზენტაციის შეფასება, ვიდეო ჩვენება, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და და სხვ.

უნდა აღინიშნოს ისიც,რომ განსაკუთრებით ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებელი თავის თავში ორ კომპონენტს უნდა აერთიანებდეს: სწავლება და დარგობრივი კომპეტენცია. სწორედ ამიტომ დაწესებულებას განესაზღვრა როგორც სამუშაო შეხვედრები პრაქტიკის ობიექტზე, ისე მიზნობრივი ტრენინგების სწავლება შეფასებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების უზრუნველსაყოფად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

უნდა აღინიშოს, რომ პროგრამით გათვალსწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის კოლეჯში შექმნილია თითოეული სტუდენტისათვის(სსსმ და შშმ პირებისათვის) ხელმისაწვდომი სასწავლო გარემო, რომელიც მოწყობილია უნივერსალური დიზაინის პრინციპით. კოლეჯში „მერმისი“ 2013 წელს პირველ მიღებაზე ჩაირიცხა 16 სსსმ სტუდენტი. მას შემდეგ ყოველწლიურად მატულობს სსსმ სტუდენტთა რაოდენობა. 2013 წლიდან დღემდე კოლეჯში ჩაირიცხა 233 სსსმ და შშმ პირი, მათ შორის ტოტალური უსინათლო, სმენადაქვეითებული, ეტლით მოსარგებლე, აუტისტური სპექტრის, დაუნის სინდრომის, მენტალური და სხვადასხვა ინტელექტუალური დარღვევის მქონე სტუდენტები.

პოფესიული სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შემუშავების საჭიროებაზე გადაწყვეტილებას იღებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ინტერდისციპლინური გუნდის დასკვნისა და პროფესიული მასწავლებლის რეკომენდაციის საფუძველზე. შემუშავებული ინდივიდულაური სასწავლო გეგმა თანხმდება ხარისხის მართვის მენეჯერთან.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ და რაოდენობრივ ცვლილებას) ან/და აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომაში ცვლილების მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს . შეზღუდული შესაძლებლობისა (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის საჭირო დამატებით საგანამანთლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ- ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

კოლეჯს პარტნიორ ორგანიზაციებთან/ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობი მემორანფუმი შემდეგ საწარმოებთან:

- , შპს „არტ-გალერეა“;
- შპს „გუდვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შპს „დაბიჯგუფი“
- შპს „ფილექსრი“
- შპს „სალი“
- შპს „ციტრუსი“
- შპს „ძველი ქალაქი

ინტერვიურებით დასტურდება პრაქტიკის ობიექტების მზაობა, ჩაერთოს პროგრამის განხორციელებაში. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხები და პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოების დაცვის საკითხები, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა(რაც პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთი საფუძველია).

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კოლეჯის დირექტორის № 04-220, 31.12.2019წ. ბრძანებით დამტკიცებულია „წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“, რომლის ფარგლებშიც კოლეჯი უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოებას, სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას. ინტერვიურებისას კოლეჯის პედაგოგებიც და პრაქტიკის ინსტრუქტორებიც აღნიშნავდნენ, რომ მეტად მნიშვნელოვანია საევაკუაციო გეგმის ცოდნა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის სასწავლო გეგმები (პროგრამის დანართები №1 და №27).
- სსიპ კოლეჯის დირექტორის № 04-145, 12.11.2019წ. ბრძანებით დამტკიცებული (ცვ. № 04-115, 08.06.2020წ.) სსიპ კოლეჯის „მერმისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის № 04-220, 31.12.2019წ. ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „მერმისი“ „წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“. ინტერვიურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური**

შეფასების ინსტრუმენტები წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის განმსაზღვრელი შეფასების საშუალებას, რომლითაც დასტურდება მიაღწია თუ არა პროფეისულმა სტუდენტმა სწავლის შედეგს.

პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენისას იყენებს კონკრეტულ მოდულს. თემატურ–კალენდარული გეგმები და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება ხდება დირექტორის მოადილესთან სასწავლო დარგში ხოლო ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რადგან პროგრამა ინტეგრირებულია, შეფასების შესაბამისი ფორმა, რომელსაც იყენებს მასწავლებელი, ითვალისწინებს შესასრულებელი სამუშაოების კალენდარულ გეგმას, შეფასების სავარაუდო განრიგს, მისაღწევ სწავლის შედეგებსა და მტკიცებულებას.

შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის საკითხი ახალი სტანდარტების შესაბამისად დანერგილია კოლეჯის რეგულეციების საშუალებით.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

შეფასების ინსტრუმენტების საფუძველზე იქმნება სასწავლო უწყისები, რომელთა საფუძველზეც მიმდინარეობს მსჯელობა პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხზე.

პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენისას იყენებს კონკრეტულ მოდულს. თითოეული შეფასების ინსტუმენტი იქმნება სასწავლო დარგში დ/მოადგესთან შეთანხმებით, რაც დასტურდება შესაბამისი ხელმოწერით. ხოლო ვერიფიკატორს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი და ვერიფიკაციის ჯგუფი.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

კოლეჯში თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესის მიხედვით, რეგულირდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო უწყსი უვადოდ.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

კოლეჯში შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. აღნიშნული მექანიზმები პროფესიული სტუდენტების განმეორებით გამოცდაზე გასვლისა და გასაჩივრების საშუალებას იძლევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

PDF Eraser Free

- „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ -დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-26 11.03.2019 დანართი N1
- კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი2019 12.11.N04-145 ბრძანებით, ცვლილება 2020 წლის 08.06 N04-115 ბრძანნება დანართი N10,11,12

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

დასაბუთება

.....

.....

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი 22. 07.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: